

**უწყვეტი ვალდებულება კარგი მმართველობისთვის: გამოვიდა ELOGE -ის პუბლიკაცია!**

ELOGE – „კარგი მმართველობის ევროპული ნიშანი“ – არის პროგრამა, რომელიც შექმნილია ევროპის საბჭოს მიერ, როგორც კარგი მმართველობისა და დემოკრატიის საზომი ინსტრუმენტი. პროგრამა გულისხმობს მუნიციპალიტეტების შეფასებას ადგილობრივი მმართველობის დონეზე, ევროპის საბჭოს მიერ დადგენილი კარგი დემოკრატიული მმართველობის 12 პრინციპის მიხედვით.

ELOGE –ის პროგრამა ეყრდნობა პარტნიორობას ევროპის საბჭოსა და კარგი რეპუტაციის მქონე რეგიონულ, ეროვნულ, ტრანსნაციონალურ დაწესებულებას შორის, აგრეთვე ad hoc –ის პლატფორმას, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი ცოდნა და გამოცდილება კარგი მმართველობის სფეროში, განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე.

ALDA-ს, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს დემოკრატისა და კარგი მმართველობის დამყარება, მიენიჭა აკრედიტაცია განახორციელოს პროგრამა ხორვატიის და კოსოვოს\* სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, ასევე ჩრდილოეთ მაკედონიაში.

ამ პუბლიკაციის მიზანია მკითხველს მიაწოდოს ინფორმაცია ALDA-ს მეთოდოლოგიისა და ELOGE –ის პროგრამის ფარგლებში აღნიშნულ ქვეყნებში მიღწეული შედეგების შესახებ და კარგად გაიაზროს პროგრამის შიდა ფუნქციონირება და საფეხურები.

წაიკითხეთ პუბლიკაცია!